№ 222 ოკტომბერი 19, ხუთშაბათი 1890 ოკტომბერი 19, ხუთშაბათი № 222

# ივერია

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთის ფასი

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

**ქუთაისის ბანკის საქმე.**

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.

(5—3)

ტფილისი, 18 ოქტომბერი

ჩვენი ქვეყანა და იმიერ-კასპიის მხარე ამ ბოლოს დრომდე თითქმის მივიწყებული იყო და ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ არც რუსეთის მწერლობა, და არც თვით უმაღლესი მთავრობა. უმაღლესი მთავრობა კავკასიას ისე უცქეროდა, როგორც სამხედრო საზღვარს; ამისათვის მის დასათვალიერებლად, ციხე-სიმაგრეების გასასინჯად ათასში ერთხელ სამხედრო მინისტრებს, ან რომელსამე წარჩინებულს გენერალს გამოჰგზავნიდა და ეგ იყო და ეგ. რიგიანის ცოდნის მოპოვება რომ მოგესურვებინა კავკასიის შესახებ, უსათუოდ ან ფრანგული, ან ინგლისური წიგნი უნდა გეშოვნა და იქ ამოგეკითხა საჭირო ცნობანი. რუსეთის მწერლობა ისე გულ-გრილად ეკიდებოდა ჩვენს ქვეყანას, ამ „ძვირფასს მარგალიტს რუსეთის გვირგვინისას“, ზოგჯერ ისეთს სისულელეს ჰბეჭდავდა აქაურ მკვიდრის ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომ რუსეთის მკითხველს საზოგადოებას სრულიად უმართებულო და გადარეული აზრი ებადებოდა, როგორც ქართველებზედ, ისე სხვა მთის ხალხზედაც.

ეხლა-კი სურათი შეიცვალა. ხშირად შეხვდები რუსეთის ჟურნალ-გაზეთობაში წერილებს, რომლის ავტორი გახარებული ჩვენის ქვეყნის ურიცხვის სიმდიდრით, სამოვნებითა და ნეტარებით ლაპარაკობს, რომ ეს მშვენიერი ქვეყანა გვეკუთვნის ჩვენა და არა სხვას ვისმესაო, რომ კავკასია და იმიერ-კასპიის მხარე მართალია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც შესამჩნევად იზრდება ეკონომიურად და ნივთიერს კეთილდღეობაში შედისო.

შარშან ცნობილი რუსეთის მწერალი ნ. შელგუნოვი ერთს თავის მიმოხილვაში ამბობდა, რომ რუსეთის ერის ცხოვრება მოსხლტა ჩრდილოეთსა და ბინას იკეთებს სამხრეთისკენა, რომ ლამის ჩრდილოეთი დაცარიელდეს მკვიდრთაგანაო. სამაგიეროდ ცხოვრება აჰყავდა შავის ზღვის ნაპირებადა; უზარმაზარი ქალაქები შენდება იქა, იმართება რკინის გზები და ვაჭრობა ერთი ათად ძლიერდებაო.

აქ საკვირველი არა არის-რა. ჩრდილოეთის ბუნება მეტად სუსხიანი და სასტიკია, მისი ნიადაგი მეტად მწირია და საცხოვრებლად გამოუსადეგარი. სამხრეთი-კი, შემკული სასიამოვნო და ზომიერის ჰავით, ნაყოფიერისა და მომცემის ნიადაგით, როგორც სამოთხე, ისე იზიდავს ყინულიანის ქვეყნის მკვიდრს.

მერე რა არ მოიპოვება ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში? ტყუილად არ ეძახიან ამ ქვეყანას რუსები „იმპერიის მარგალიტს“. შედარებით მცირე ადგილი უჭირავს კავკასიას და იმიერ კასპიის მხარეს, მაგრამ ბუნებამ ისე უხვად დააჯილდოვა ეს ქვეყნები, რომ მათი ბადალი სხვაგან ძლივსღა თუ მოიპოვება. წელიწადში მარტო ნავთს იღებენ 150 მილიონ ფუთს, ასე რომ კავკასიის ნავთი მთელს ქვეყანას ანათებს. შავი ქვა მორაპნის მაზრაში ყოველ წლივ სამს მილიონ ფუთზე მეტი ამოდის და რკინის გზა რომ მიუყვანონ ჭიათურას, მაშინ ერთი ათად მეტი ამოვა. იმიერ-კასპიის მხარეს ერთს ალაგას გამოუჩენიათ ათი გორაკა გოგირდისა და თურმე მარტო ერთში 500 მილიონზე მეტი ფუთი გოგირდი ამოიღება*).

მარტო მადნეულობით არ არის მდიდარი ეს ქვეყნები. მოსავალი პურისა, ღვინისა, აბრეშუმი, ხილი, თამბაქო, ბამბა, ბრინჯი ხეტყე, თევზი, ყველაფერი უხვია და უფრო იმატებს, თუ-კი რიგიანი ყურადღება მიაქციეს და ხელი შეუწყეს. მარტო ღვინო მოდის წელიწადში თერთმეტი მილიონი ვედრო, წვრილი და სხვილ-ფეხი საქონელი 17 მილიონი სული ითვლება.

ვიღას უნდა გაუკვირდეს ამას შემდეგ, რომ ჩვენი ქვეყანა სათვალავში ჩააგდეს და მოაწყდა დიდ ძალი ვაჭრობა ხეირის საშოვნელად. ბაქო, ბათუმი, ნოვოროსიისკი ისე იზრდება, რომ ბევრს საგუბერნიო ქალაქებს შიდა რუსეთისას აღარც-კი ჩამოუვარდება.

რაკი კავკასია და იმიერ-კასპიის მხარე მალის ნაბიჯით მიდის წინ, დიდხანს აღარ შეიძლებოდა მათი უყურადღებოდ დატოვება. ამისათვისაც ამ ორის წლის განმავლობაში ხუთი მინისტრი მოვიდა ამ ქვეყნების დასათვალიერებლად. მისვლა-მოსვლა რუსეთიდგან ჩვენს ქვეყანაში ძალიან გააადვილა როსტოვიდან გაყვანილმა კავკავამდე რკინის გზამ და თუ გვირაბიც გაიყვანეს კავკასიის უმთავრეს ქედზედ მაშინ ხომ აღარაფერი დაბრკოლება აღარ იქმნება მისვლა მოსვლაში.

ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ, რომ აქამდე უყურადღებოდ და უპატრონოდ დატოვებული ქვეყანა, დღეს ყურადღებას იქცევს უმაღლესის მთავრობის წარმომადგენლებისასაო. ამათ თავიანთის თვალით ჰხედავს კავკასია, თვითონ დარწმუნდნენ, რა ეჭირვება ქვეყანას, რომ ერთი ათად იმატოს მისმა ეკონომიურმა კეთილდღეობამ და ამას შემდეგ აგრე რიგად აღარ მიენდობიან აქაურის მოხელეების მიერ ქაღალდზე დაწერილს მოხსენებას. უეჭველია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მინისტრების მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში შესაფერს ნაყოფს მოიტანს და ადგილობრივს სიჭირ-ბოროტო საგნებს ჯეროვანი ხსნა და შველა მიეცემა.

ა. ფრონელი

*) ეს ცნობები გაზედ „Недѣля“-ში არის მოყვანილი, № 40.

## ახალი ამბავი

*** ჩვენმა ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში დაარიგა შესწორებული სიები ამომრჩეველთა. არჩევანები პირველ რიგის ხმოსანთა დანიშნულია 4 ნოემბერს, მეორე რიგისა—11 და მესამისა—18 ნოემბერს. ამ ადგილის შესახებ, სადაც იქმნება არჩევანები, ცალკე გამოცხადდება თავის დროზედ.

*** არ იქნა და ვერ მოხერხდა, რომ ჩვენის ქალაქის ქუჩებს უფრო ადრე ჰგვიდნენ დილით. უმთავრესს ქუჩას, გოლოვინის პროსპექტს, ყოველ დღე დილის 8 საათზე ჰგვიან და მტერით უვსებენ გულ-მუცელს ყმაწვილებს, რომელნიც მრავლად მიეშურებიან ამ დროს სასწავლებლებში.

*** 15 ოქტომბერს საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს ოპერა „Евгеній Онѣгинъ“-ი ჩაიკოვსკისა, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და რომელმაც თვითონ გაუწია დასს ხელმძღვანელობა ამ ოპერის წარმოდგენისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ ოპერამ კარგად ჩაიარა და ტაშისკვრა და ბრავოს ძახილი ბევრი იყო. მეორე მოქმედების შემდეგ მაყურებლებმა [illegible] იხმო პატივცემული ავტორი ოპერისა ჩაიკოვსკი.

*** სულ პირველად იმ ტალონის სიყალბე, რომელიც ამას წინად წარადგინეს ტფილისის ხაზინაში 51 ათასის მანათის მისაღებად, შეუტყვია ხაზინის მწერალს ბ-ნ რაზმაძეს, რომელსაც ჩაუწერია ნომერი იმ ტალონისა შემოსულ ქაღალდების ჟურნალში, შეუტყვია უფრო იმიტომ, რომ ბ-ნ რაზმაძეს შეუმჩნევია, ხაზინიდამ მოსულს ქაღალდებს მცირე რიცხვიანი ნომერი უზით და ამ ტალონს-კი მეტად დიდ-რიცხვიანი ნომერი ჰქონდა...

## ფელეტონი

### მკვდარია, თუ ცოცხალი?

(დასასრული*)

სწორედ ათი საათი იყო, როცა ერალი გამოჩნდა. ყველამ ხმა გაკმინდა და დაუწყეს სინჯვა გამბედავს მებრძოლს.

ამ კაცს სულ განსაკუთრებული იერი ჰქონდა და იმისი თავ-ხედი პირი-სახე ჰბრწყინავდა და სიხარულის შუქით იყო მოფენილი. ჰბრწყინავდა, მაგრამ ბრწყინვალე მზეს არაფრითა ჰგავდა და ერთის ბეწვის ოდენა ზავი არა ჰქონდა. დაბალის ტანისა იყო და შეხედულობა, გარეგნობა სულ არ შესწევდა იმ სიმამაცეს, რომლის გამოჩენასაც აპირობდა. ერთი შეხედვა კმაროდა, რომ მაშინვე დარწმუნებულიყავით, უბრალო კაცის შვილია, გლეხისა ვისიმე, რომელთა შორისაც გამბედავი და უნარიანი ადამიანი ბევრი იჩენს ხოლმე თავსაო. აბა ის-კი სწორედ სენას კიდეებზედ იქნებოდა დაბადებული! გამხდარი იყო, სწორედ ფირფიტასა ჰგავდა და სულ ოთხმოც გირვანქას არ აიწონდა. იგი იმ ქონდრის კაცებს ჯიშისა იყო, რომელნიც ხშირად გოლიათებსაც-კი გულ-ზვაობას დააშლევინებენ ხოლმე... ისე უზრუნველად გამოიხედებოდა, თითქოს ქვეყანას ბაიბურშიაც არ იგდებსო... შავი, ტანზედ პაჭიჭსავით გაკრული ტანსაცმელი ეცვა და ცალის ხელით ულვაშის წვერებს იგრეხავდა, ხოლო მეორე წითელ ოქროს-ფუნჯიან სარტყელში გარჭობილ ხანჯალზედა ჰქონდა მოკიდებული.

იგი მიესალმა საზოგადოებასა და გაიარ-გამოიარა ასპარეზზედ. მაყურებელნი ყოველ იმის ნაბიჯს თვალს არ აშორებდნენ. დარწმუნდნენ, რომ თუმცა, მართალია, განსაკუთრებული რამ ღირსება არა ჰქონდა-რა და უბრალო სიკვდილის შვილსა ჰგავდა, მაგრამ თავისებურობასაც არ იყო მოკლებული და ზოგიერთის თვისებით განირჩეოდა სხვათაგან: 1) ოდნავ ელამი თვალები ჰქონდა; 2) ლამაზად იღიმებოდა, თუმცა იმ ღიმილში დიდი ეშმაკობა და გაიძვერაობა-კი ემჩნეოდა; 3) მარმარილოსებრ თეთრს საფეთქლებს კოხტა კიკინები უმშვენებდა; 4) სახეს ხშირად ჰმანჭავდა და პირს ისე ალებდა, თითქოს ვილასაც უნდა დაუძახოს: „შენ ეჰეი, აქ მომიახლოვდიო!“. დიაღ, ასეთი გახლდათ და ხალხსაც სწორედ ეს იმისი თავ-ხედობა და გამბედაობა მოსწონდა. როცა ასპარეზი მოიარა, ქალთან დადგა გულ-არხეინად, გაზომა თვალით იაგო და, თითქოს ტაროსის ამბავს კითხულობსო, დაუძახა: „შე არაფრის მაქნისო მხეცო, შენაო!“ შემდეგ მხრები აიმშუშნა და თავ-ხედად შევიდა ყაფაზაში.

— შენ ეი, არ გესმის, გამარჯობა შენი!

დაწოლილმა იაგომ ხანგრძლივისა და ბოხის ბრდღვინვით გადუხადა სალამი.

მაშ აგრეა!

როგორც ზრდილობა მოითხოვდა, ერალმა ოდნავ თავი დაიხარა და ხელის ქუდზედ მიტანით სალამი კვლავ განიმეორა. ვეფხვს საკმაო გაოცება დაეტყო. რაღა თქმა უნდა, ასეთი სტუმარი არასოდეს არ ენახვებოდა. ამ გამხდარმა კაცუნიამ დავთრები სულ ერთიანად დაუბნია საბრალო ნადირს...

— ყოჩაღ! ყოჩაღ! ღვთიანი ბიჭიაო! დაუძახეს.

ერალმა ცირკის გული უკვე მოიგო. ყველა იმ აზრისა იყო, რომ ამ ვაჟბატონთან გაცნობაც ერთ რამედა ჰღირსო. დალახვრა ეშმაკმა! ეს კაცი სულ არაფრითა ჰგავს სხვა მხეცთ-დამამშვიდებლებსა და თავისებურად სცოდნია ნადირებთან მასლაათი! რა გაბედულობა ეტყობა და! მშვენიერებაა სწორედ! დიდი მასხარა და მახვილაკიც უნდა იყოს ეს ფირფიტა კაცი, ცეცხლსა და წყალში სწორედ ნამდვილ ფრანგსავით სიცილითა და ხარხარით ვარდება! რა ახირებული ადამიანია! უბედურებაც რომ მოხდეს, ეს ვაჟბატონი ცრემლის დროსაც-კი ღიმილსა და სიცილს მოჰგვრის ადამიანს. მართლაც რომ ძალიან სასაცილო იყო, იაგოც-კი კარგს გუნებაზედ დააყენა. აგერ იაგომ ორჯელ თუ სამჯერ წაიკუნტრუშა თითქოს შინაური, ხელზედ შეჩვეული, პარუტყვიაო... ერალი-კი უღიმოდა, უცინოდა და სულ იმის ცდაში იყო, რომ კუდზედ დაადგა ფეხიო. ბოლოს მოახერხა კიდეც.

საზოგადოებაში მოწონების ჩოჩქოლი ასტყდა. იაგომ-კი, რომელიც აქამდე გულ-კეთილად დაკუნტრუშობდა, არაფრად მოიწონა ეს უზრდელობა, ნესტოებით ხარბად შეისუნთქა ჰაერი, თავისი უშველებელი ლაშები დაალო და მრისხანე სახე მიიღო. კარგი, მაგრამ რაო მერე? ანტუანის უბნელი მოქალაქე გამხმარ ჩალადაც არ მიიჩნევდა

*) იხ. „ივერია“ № 220.

მერი ჰქონდა. ბ-ნ რაზმაძეს მადლობასთან საჩუქარიც მიუღია მაშინვე საინტენდანტოს განყოფილების უფროსისაგან ასეთის მიხვედრილობისათვის.

*** ოთხშაბათს, ამ თვის 17, სიონის ტაძარში წირვას შემდეგ, გადახდილ იქმნა პარაკლისი მის იმპერატორებითის უდიდებულესობისა და მის უავგუსტოესის სახლობის გადარჩენის სახსოვრად. პარაკლისზე დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებელი შერემეტიევი, ტფილისის გენერლობა და დიდ-ძალი ხალხი.

*** გუშინ, ამ თვის 18, დილით სასახლის ერთს თაღლში იპოვნეს თავ-[illegible] კაზიმირ ბრუქასი. ბრუქასი ამ უკანასკნელს დროს თურმე ძალიანა სვამდა არაყსა და ღვინოს. სიმთვრალის დროს წყალში გაუხსნია გოგირდიანის წუმწუმის თავები, დაულევია და, როცა მუცელს წვა დაუწყია, ტანჯვა ეღარ აუტანია და ეტლის ხელნაზე ჩამოურჩევია თავი.

*** მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურსკი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება.

*** ამ დღეებში პოლიციის ბოქაულის თანაშემწემ ბ-ნმა ნაცვალოვმა სიონის ქუჩაზე მაჩყალოვის ქარხანაში აღმოაჩინა თექვსმეტი თოფი „ბერდანის“ სისტემისა. ეს თოფები უნდოდათ თურმე ოსმალეთის სომხეთში გაეგზავნათ. პოლიციამ ამაზე ოქმი შეადგინა და სასამართლოს გადასცა.

*** 17 ამ თვისას, საღამოს 8 საათზედ ტფილისის კლუბში კონცერტი გაიმართა 6 წლის პოლშელ ყმაწვილის რაულ კოჩალსკისა. სწორედ ორი წელიწადია მას აქეთ, რაც პირველად გაისმა ამ პატარა რაულის სახელი. რაულმა ოთხის წლისამ იჩინა თავი და მაშინვე სთქვეს, რომ ეს პატარა ყმაწვილი ისეთივე სამუსიკო საკვირველებაა, როგორც იყო მოცარტი, ბეტხოვენი, ლისტი და სხვ. აურაცხელი ხალხი მიაწყდა ამ დღეს კლუბის დიდს დარბაზს—ნემსი არ ჩავარდებოდა სწორედ—არც ერთი თავისუფალი ალაგი არ იყო. დაიწყო მეცხრე საათი და ესტრადაზე აბობდა 6 წლის ლამაზი და ფუნჩულა ბავშვი რაული. მამამ შესვა სკამზედ და პატარა არტისტმა დაიწყო შოპენის თხზულებათა დაკვრა. ბრავოს ძახილს აღარა ჰქონდა დასასრული. პირველს განყოფილებას შემდეგ დაუკრა სხვათა შორის „ბაიათი“ ყარლანოვისა. ძალიან მოეწონა საზოგადოებას აგრეთვე რაულის თხზულებანი: ვალსი და მაზურკა. ანტრაქტებში ეხვეოდა მთელი გროვა ხალხისა და ეალერსებოდა ამ საკვირველად ნიჭიერს ყმაწვილს. ტფილისის საუკეთესო პიანისტებიც დაესწრნენ იქა და ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ბავშვს დიდი ნიჭი აქვსო, მხოლოდ ზოგიერთნი ამბობენ, ამ გვარის კონცერტების მართვით შეიძლება მის ნიჭს დიდი ზიანი მიეცესო. იმ ღამესვე რაულ კოჩალსკი გაემგზავრა ბაქოსკენ. რაული მომავალს ოთხშაბათს ერთს კონცერტსაც გამართავს ჩვენს ქალაქში.

*** ახალ-სენაკი: ჩვენშიაც აპირობენ, ისეთივე წიგნთ-საცავი დააარსონ, როგორის დაარსებაც განიზრახეს გურიაში. ეს საქმე მეტად კეთილი საქმეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არავინ არ დაიშურებს მცირეოდენს შემწეობას თუ წიგნებითა და თუ ფულით ამ კეთილის საქმისათვის. დღეს წიგნთ-საცავი ღარიბი და მცირე იქნება, მაგრამ, თუ გულით მოეკიდებით, შესაძლოა ათსა და თხუთმეტს წელს შემდეგ ისე გაიზარდოს და იმატოს ამ საქმემ, რომ შესამჩნევი სარგებლობა მოუტანოს მთელს სამეგრელოს.

*** მარტვილი: წელს, მარტის 20, ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა მარტვილის სამრეკლო და სამონასტრო შენობანი, რის გამოც მონასტერს დიდი ზარალი მიეცა. ეხლა სასულიერო მთავრობას ამავე მონასტრის მღვდელ-მონაზონის მ. სოფრომისათვის მიუნდვია ამ ზარალის აღსადგენად და თვით მონასტრის შეკეთებისათვის ხელის მოწერა გამართოს და ფული შეაგროვოს ამ ჟამად მ. სოფრომი ტფილისში იმყოფება. მონასტერთან ორ-კლასიანი სასწავლებელიც აავეს და საცაა სწავლაც დაიწყება.

*** 17 ოქტომბერს პოლიციის პირველს ნაწილში მე-3 №-ის საინჟინერო რაზმის უნტერ-ოფიცერს პლაქსინ ტოლმაჩევსა და ჯარის კაცს პინკოვსა და ზუპცევს არტილერიის ბაღკაში ჩხუბი მოუვიდათ ტფილისის მცხოვრებლებთან, ალექსანდრე ფალიჩოვსა და გრიგოლ ტერუნოვთან, ქვები ესროლეს და თავი გაუტეხეს. ფალიჩოვი და ტერუნოვი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავ დღესვე, ნაშუადღევის ორს საათზე, ვიღაც სიმონ კასაევი სიმთვრალის დროს ვერის ხიდიდგან მტკვარში გადავარდა. მტკვარმა ნაპირას გამორიყა. ამ დროს პოლიციელი მიეშველა, ამოიყვანა და პოლიციაში წაიყვანა. პოლიციიდგან კასაევი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## ქართული თეატრი

ორ-ცოლიანი, ანუ ახალის დროების გმირი, კომედ. ორ-მოქმედებად დ. კეზელისა.

პრიკაზჩიკი შკაფში. ვოდევილი 1 მოქმედ.

სამშაბათის, 16 ოქტომბრის წარმოდგენას სწორედ გამოცანა უნდა დაერქვას. ამ დღეს წარმოდგენილი პიესა „ორ-ცოლიანი“ უფრო გამოცანაა, რადგან თქმა და არა თქმა ერთსა და იმავე დროს, ვიდრე ჭეშმარიტი ნაწარმოები სცენის მოთხოვნილების შესაფერად შექმნილი ადამიანის გასაგებად და შესასმენად. ამ პიესის გათავების შემდეგ მთელს თეატრში დამსწრე ხალხი ისეთ გაკვირვების ნიშნად გადაიქცა, თითქოს პიესა-კი არ წარმოადგინესო, არამედ ჩახლართული ვიღაც არა ამ ქვეყნიერი ადამიანი გამოვიდა სცენაზედ და პატივცემულს საზოგადოებას დიდის ზარითა და ზათქით მოახსენა: „გამოცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიაო“ და სხ. და გავიდა.

ახირებულია როგორც შინაარსი ამ პიესისა, ისე მომქმედნი პირნიც. ვიღაც ყმაწვილი კაცი რუსეთში ცოლს ირთავს, ჩამოდის კავკასიაში და აქაც კიდევ მეორე ცოლის შერთვას აპირებს. სახელები მომქმედ პირებისა არ მოგვყავს, რადგან თეატრის ადმინისტრაციამ რაღაც მიზეზით არც დიდსა და არც პატარა განცხადებაში მომქმედ პირთა სია არ დაჰბეჭდა და ამით უფრო გააგამოცანავა ისეც თავ-და-ბოლო გაუგებელი კომედია (?). ამასობაში პირველი ცოლი, რუსის ქალი, ჩამოდის რუსეთიდგან თავის ნათესავ ბრალმდებელთან, ესწრება ამ ყმაწვილის კაცის ქორწილში და იცნობს თავისს ქმარს. საყვედურს შემდეგ წინ წამოდგება ბრალმდებელი და კუდ-ამოძუებული გაჰყავს ორის ცოლის შემრთველი გაყაბატონი, აპატიმრებს იქავე თავისისავე ხელით.

აი, ამ შინაარსის გადმოსაცემად სცენაზედ ვიღაც ახირებულნი ქალნი და კაცნი ტრიალებენ და ჭლაპარაკობენ იმის შესახებ, რაც იოტის ოდენადაც არ შეეხება არც გმირთ პიესისას და არც შინაარსს. რად უნდოდა მეორე ცოლი? რას დაეძებდა? ან პირველს რად უღალატა? საკომედიო რა არის მთელს პიესაში, თუმცა კომედიად იწოდება? და სხ. ამ საკითხავების ასახსნელად ავტორი უეჭველია კიდევ მეორე ორ-მოქმედებიანსავე კომედიას დასწერს და საზოგადოებას აუხსნის თავის გამოცანას. ეხლა-კი ასეთის შინაარსის შესახებ მოვიყვანთ აზრს ერთის ჩვენის საუკეთესო მწერალთაგანისას, რომელიც იმ ღამეს წარმოდგენას დაესწრო. ამ მწერალმა საკმაოდ მახვილადკი მსჯავრი დასდო: ჩვენის დროის ახალის გმირების ნაკლი ის არის, რომ სულ არ ირთავენ ცოლს, ერთსაც-კი, და ეს ორის ცოლის შერთვის მსურველი კაცი თუ გმირია, ისევ აღა მამად-ხანის დროის გმირი უნდა იყოსო!

ამ ჩვენს სიტყვებსავე უნდა დავუმატოთ, რომ თვით პიესა ჩვენ არ წაგვიკითხავს, მომქმედ პირთა ვინაობა არ ვიცით და ვწერთ იმას მხოლოდ, რის მნახველიც ვიყავით. შეიძლება თვით წარმომდგენლებმა დაამახინჯეს პიესა, შეამოკლეს, ოთხ-მოქმედებიანი მართლა კომედია ორ-მოქმედებიან რაღაც გუდა პიესად აქციეს და ამით ვერაფერი მეგობრობა გაუწიეს ავტორს პიესისას! მაშინ, რასაკვირველია, ამ არა-სასიამოვნო მსჯავრის მიზეზი და ბრალი თვით წარმომდგენელთ უნდა დაედოთ და არა ჩვენ.

თვით არტისტებისა რა ითქმის, როცა, ქ-ნთ საფაროვისა და ჩერქეზიშვილის მაგიერ, ქ-ნნი ტატიშვილისა და ტარიელოვისა თამაშობდნენ და მერე ისიც ამისთანა პიესაში, სადაც თვით უნიჭიერესნი არტისტნიც-კი ვერას შექმნიან, ვერას მოაგვარებენ? აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვა უნდა გსთქვათ ქ-ნ კერესელიძის შესახებ, რომელიც რუსის ქალის როლსა თამაშობდა. ამ ქალს ისე საუცხოვოდ დაესწავლა როლი, რომ ლაპარაკის დროს შესვენების ნიშნებსაც-კი ყურადღებას არ აქცევდა. აშკარაა, ქ-ნი კერესელიძისა სცდილობს, ჰმხნეობს. და თუ შემდეგ შიაც არ დაზოგავს მხნეობასა და მწვრთნელიც კარგი გამოუჩნდა, იმედია, გამოსადეგი არტისტი-ქალი დადგება. სამწუხაროდ, მცოდნე და მუყაითი რეჟისორი და ხელ-მძღვანელი ქ-ნ კერესელიძისასაც აკლია ისე, როგორც სხვა დანარჩენს არტისტებს.

მეორე წარმოსადგენ პიესად დანიშნული იყო „ცელქები“, რომელიც ჩვენს რეპერტუარში თუმცა საკმაოდ დიდის ხნისაა, მაგრამ მაინც ერთი საუკეთესო ვოდევილთაგანია. სამწუხაროდ, ქ-ნ საფაროვის ავადმყოფობის გამო ამ ვოდევილის მაგიერ წარმოადგინეს „პრიკაზჩიკი შკაფში“, ამ ორიოდე კვირის წინადაც ნათამაშევი. ვოდევილმა ბ-ნ აბაშიძის წყალობით საკმაოდ ცხოვლად ჩაიარა და ბევრი აცინა საზოგადოებას.

ვოდევილს შემდეგ საუცხოვო ლეკური გაიმართა. მოლეკურეთა შორის განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდა პ. ივანოვი, რომელმაც მართლა რომ მოსაწონად ითამაშა ლეკურიცა და კინტოურიც.

მანოვლიძე

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით მოვახსენო ულრმესი ჩემი მადლობა ყველა იმათ, ვინც ასე პატივი სცეს განსვენებულის ჩემის მეუღლის თავად დავით ერისთავის სახელსა და თან განუცხადეს გულითადი მწუხარება მისს უბედურსა და უნუგეშო ოჯახს.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

მ. ზ. ერისთავისა

## რუსეთი

ამას წინად გაზეთები იუწყებოდნენ, რომ სამეურნეო დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროსი პროექტს ადგენს საქალაქო დებულებაში მოსახდენ ცვლილებათა და მალე წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს განსახილველადა და დასამტკიცებლადაო, მაგრამ ეს ამბავი მართალი არ გამოდგა. ეხლა „Нов. Вр.“-ს ნამდვილ წყაროდგან შეუტყვია, რომ ამ პროექტს სახელმწიფო საბჭო 1891 წლის დამლევამდე და ან 1892 წლის დასაწყისამდე ვერ განიხილავსო. ჯერჯერობით სამეურნეო დეპარტამენტი ისევ პროექტის შედგენას უნდება და ამ ჟამად საქალაქო დებულებისა მხოლოდ ის მუხლები აქვს აღნიშნული, რომელშიაც უნდა ცვლილება მოახდინოს. ამ მუხლების შესახებ სამეურ-

---

თვით კაცის-მჭამლებსა და მეფეებსაც-კი. მან წარბიც არ მოიხარა, ჩამოჯდა ვეფხვის წინა და დაუწყო მასლაათი. რა სურათია-და! იგი ხან ერთს თათს აწვევინებდა ვეფხვსა და ხან მეორეს; ხან მარჯვენა ფეხზედ დაჰკრავდა ხელს, ხან მარცხენაზედ. მოდი და გაუწყერით ამ მასხარას, ამასა! გაეცინება ადამიანს, მარა ღმერთი გაუწყრება. ვეფხვიც მართლა კარგს ქეიფზედ მოვიდა. ხომ გინახავთ, კატა როგორ მიეპარება ხოლმე ნივთს რასმე, თუ ჯერ დაანახვეთ, ხელში ჩაუგდეთ, მერე-კი განზედ გაუდგით და მიიტყუეთ? იგიც სწორედ ასე სჩადიოდა, იგი თვალ-მოუშორებლივ უყურებდა ხელებს ყმაწვილის კაცისას, რომელიც ხან მკერდზედ დაჰკრავდა ხოლმე და ხან თავში ჩაუფაჩუნებდა. საბედნიეროდ, ერალი ძალიან მარდი იყო და დროზედ აცლიდა ხელებს. ცოტა რომ მოეგვიანა, ერთს ნაჭერს ხორცს არ დაინარჩუნებდა თავისთვის მისი ოთხ-ფეხი მეგობარი. „არა, ფისუნიავ, არც აგრე ვარგაო“. გაზვიადებით რომ არა ვსთქვათ, ასეთმა ამბავმა ერთს ათს წუთს მაინც გასტანა.

შემდეგ, თითქოს მოეწყინაო, ერალმა ერთი კარგი მუჯლუგუნი წაჰკრა ვეფხვს. ასეთის სითავხედით ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ეტყობა, ქალაჩუნა არ იყო, თორემ როგორ გაუბედავდა, მით უფრო, რომ პირველად ჰხედავდა!.. რა თავ-გამოდებულია, ღმერთო! გაგიჟდა, სწორედ გიჟია: აბა შეჰხედეთ! იაგო პირდაღრენილი დგას, ლაშებს ეგრიხება, თმა აჰბურძგვია და კუდიც მაღლა ამართული და მრისხანედ მოგრეხილი უჭირავს. ეტყობა, ხუმრობისათვის არ მოუცლია, თუმცა ერალი კვლავ აპირებს გახუმრებას!..

ერალმა გაუწოდა ხელი, შეუკურთხა და ხელ ახალოკად პირთან მიაჩეჩა. ნადირმა მაშინვე პირი წაავლო ხელში, თუმცა ერალმა აინუნშიაც არ ჩააგდო ეს გარემოება. ვეფხვი და კაცი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და თვალებში შესჩერებოდნენ ურთიერთს, თითქოს გაქვავდნენ და გაკლდევდნენო. მოურჯულებელმა ერალმა კვლავ მოინდომა გახუმრება, „ჩქარა მორჩები, შე ტუტუცების უსტაბაშოო!“ —უთხრა და ცხვირში შეუბერა. იაგოს თვალები თანდათან ენთებოდა... სწორედ ამ დროს ფარდიდგან ნახევრად გამოჩნდა ფერმკრთალი სახე ანდრიასი. მამაცს ქალს გული აუცახცახდა, რაკი ჰნახა, რომ ნადირს ყმაწვილის კაცისათვის პირი წაუვლიაო, და ენა-გამშრალი იდგა და ძლივს-ღა ჰსუნთქავდა. უეცრად შეკრთა ანდრია: იაგომ დაიფრუტუნა, კუდი მოიკაუჭა და ყურები აცქვიტა... ამ დროს ეს ნადირი სწორედ ისეთი სანახავი იყო, როგორიც ლონდონსა და ბრიუსელში—ისეთივე სისხლის წყურვილი ეტყობოდა... დუხჭირი შუბლი დაეღარა და წვერის თმა აუკანკალდა.

— აა, გაფხუკიანებასა, და გაცოფებას აპირებ? ელვის უსწრაფესად ერალმა გაიქნია მკლავი და ერთი ხორბა სილა გაულაწუნა. არავინ იცის, შეეშინდა თუ არა ვეფხვს, მაგრამ მივარდნის მაგიერად პირი დაალო, სირცხვილეულად განზედ გაიწია და უკანა ფეხებზედ ჩამოჯდა. მამაცმა პარიჟელმა-კი ხელი გაინთავისუფლა, ის ხელი, რომლის უვნებლად გადარჩენას აღარავინ მოელოდა.

— ვაშა! ვაშაო! დაიძახა ამ გადარჩენით გახარებულმა ხალხმა: ვაშა, ერალ, ეტიენ ერალ!

მაგრამ ერალი მაინც თავის სითავხედესა და კადნიერებას არ იშლიდა. მან დაიწყო რაღაც სიმღერის სტვენა, ოთხზედ შედგა, წინ გაიშვირა თავისი დამცინავი სახე და თვალები დააშტერა ვეფხვს. იაგომ ნელ-ნელა უკან დაიწყო წევა, ერალიც უკან მიჰყვა. ასე სამჯერ მაინც შემოუარეს ყაფაზას—მხეცი უკან და უკან მიდიოდა, ყმაწვილი კაცი-კი წინ მიიჩოჩავდა ხელითა და ფეხით. ეს სანახავი თუმცა მართალია ყველას მოსწონდა, მაგრამ მაინც იმასა ჰნატრობდნენ, ნეტა ბოლო მოეღოს ჩქარაო. ამ თავ-ხედისა და ლაღის კაცის საქციელი ანდრეას გამბედაობაზედ მეტად აღელვებდა ხალხს და არც საკვირველია: ვეფხვს ანდრეა უყვარდა, ელაქუცებოდა და რაც უნდა გაჯავრებული ყოფილიყო, ყოველთვის მოიბრუნებდა გულს; ერალი-კი, თუ იმარჯვებდა, თავის ურცხობისა და უზომო თავ-ხედობის წყალობით იმარჯვებდა.

— მხეცთ-დამამშვიდებელო, მაგ შენს ტყავს გაუფრთხილდიო! დაიძახა ვიღამაც ხმა-მაღლად.

— არაფერი გაფრთხილება არ უნდა, აბა შეჰხედეთ, როგორ ჩამოუშვა ცხვირიო! უპასუხა ერალმა სიცილით.

ასეთმა პირი-სახის სასაცილოდ დამანჭვით წარმოთქმულმა კვეხნამ ყველა გააცინა, თუმცა არავინ არ დამშვიდებულა. როგორც ეტყობოდა, ვეფხვი ძალ-ღონეს იკრეფდა. თუ ვერა გაებედნა-რა, იმიტომ-რომ დაშტერებული თვალები ყმაწვილის კაცისა აკრთობდა და უკან ახევინებდა! როგორ იკლაკნებოდა! რა განზრახვებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელ დეპარტამენტმა მისწერა იმ გუბერნიების უფროსებს, სადაც საქალაქო დებულებაა შემოღებული, და ზოგს სხვა ამ საგნის მცოდნე კაცებსა და დაწესებულებას, შემატყობინეთ არა უგვიანეს 1891 წ. ოქტომბრისა, თქვენის აზრით რა ნაირის ცვლილების მოხდება უფრო საჭირო და შესაფერიაო.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ სთხოვა სახელმწიფო საბჭოს, სამის წლით კიდევ უცვლელად დარჩეს ვისლის მხარეში საგლეხო საქმეთათვის დაარსებული დაწესებულებანი და შტატებიო.

— 11 ოქტომბერს დაიკეტა საბალოსნო გამოფენა და ექსპონენტებისაგან შეწირული ნივთები მომავალ საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ გაიყიდა.

— პეტერბურგის მაზრის ქარხნებში სასალამო კლასები გაიმრთება გიორგობის თვეში სრულ-წლოვან მუშებისთვის.

— კურსკის მაზრაში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა. სოფელ პატაევაიას მცხოვრებელი გლეხი ასეევი დიდი ხანია თურმე იჭვიანობდა თავის ცოლზე. ამ ბოლოს დროს სოფელში ვიღასაც წაუძახნია, შენი ცოლი სხვას მისთხოვდაო, და ამას უარესი ცეცხლი მოუდვია ასეევისთვის; შეუკრებია თავისი მახლობელი ნათესავები და შეუჩივლია, მასწავლეთ, როგორ მოვიქცე, ჩემი ცოლი მღალატობსო. ყველას ერთ ხმად ის ურჩევია, კარგად გაამათრახე შენი ცოლი, რომ ჭკუაზე მოვიდესო. ასსევი მეორე დღესვე შესდგომია თავის საქმეს. როცა ყველანი ტყეში წასულან შეშაზე, ასეევს გამოუტანია ეზოში თოკი, ჩაუგდია წყალში დასალბობად და ერთი შოლტი და სადგისიც იქვე შეუნახავს. შემდეგ შებრუნებულა სახლში წაუქცევია ცოლი იატაკზე, პირში ხელსახოცი გაუკეთებია, რომ არ იყვიროსო, გამოუთრევია ეზოში, მიუბამს ბოძზე, სულ ერთიან შემოუგლეჯია ტანსაცმელი და ისე დაუწყია შოლტით ცემა. რადგან ცოლს ყვირილი ვეღარ მოუხერხებია, ესეევს ჰგონებია, რომ მაგრა ვერა ვცემო, აულია ახლა დამბალი თოკი და იმით დაუწყია ქაპაქუპი ტიტველა ტანზედ. როცა საწყალს ქალს სისხლი გადმოსდენია, ქმარს ახლა მახათი სთვის წამოუვლია ხელი და ჩხვლეტა დაუწყია. ზედ ჯოხებიც მიუყოლებია. საბრალო ქალი მეტად შეწუხებულა და ცხვირ-პირიდგან სისხლი წასჰხეთქია. ესეევს მაინც არ გაუთავებია ცოლის წამება. შეუკრეფია ჩინჩხვარი, ნაფოტები, ბზე, შემოუწყვია გარშემო და ცეცხლი წაუკიდებია ცოლისათვის. მეზობლებს კვამლი რომ დაუნახავთ, ჰკონებიათ სახლს წაუკიდა ცეცხლიო, შეცვივნულან და წაურთმევიათ ქმრისთვის საბრალო მისუსტებული ქალი. მკურნალიც დროზედ მოუყვანიათ, შემწეობა აღმოუჩენიათ, მაგრამ საბრალოს ვეღარა შეელებია-რა და დიდის ტანჯვით დაულევია სული.

## უცხოეთი

საფრანგეთი. პირველსავე კრებაზე ბულანჟეს მომხრე დეპუტატს გუსსოს წარუდგენია პროექტი დეპუტატთა პალატისათვის, განაახლეთ საქმე ბულანჟელებისაო და კვლავ დანიშნეთ სასამართლოში განსახილველადაო. თუ უმრავლესობა არ შეიწყნარებს ამ წინადადებას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბულანჟელები სრულიად მართალნი ყოფილან და უბრალოდ სდევნიდა დღემდე მთავრობაო. შინაგან საქმეთა მინისტრს კონსტანს გულდამშვიდებული პასუხი მიუცია ამაზე გუსოსთვის და დაცინვით უთქვამს, რომ მთავრობა მოვალეა იზრუნოს საზოგადო ინტერესებისათვის და არა სახელი უკეთოს თითო-ოროლა დამძლეულსაო. მე მინისტრი ვარ და არა მსურს ბ-ნ გუსსოს დავუწყო ბაასი ამ საგნის შესახებაო. ხოლო თუ გუსსომ ან მისმა თანამოაზრეებმა გაჰბედეს და შარშანდელისთანა ამბავი დაიწყეს, მთავრობა მოახერხებს ყველაფერს, რაც-კი საჭირო იქნებაო. ამისათვის რჩევას ბულანჟელებს არა ჰკითხავსო. ამ ლაპარაკს საშინლად გაუცეცხლებია ბულანჟელები. დერულედი წამომხტარა თავის ადგილიდამ, ამოუღია უბიდამ რაღაც ქაღალდი და დაუხეთრეწია ამ სიტყვებით: მინდოდა ხელი ამეღო დეპუტატობაზედ და ახლა-კი მტკიცედ მომხრეობას გავუწევ ბულანჟესაო. ამაზე დეპუტატს რეინახს ორიოდე სიტყვა უთქვამს. დერულედს რეინახის წინააღმდეგ ასე დაუწყვია თავისი ლაპარაკი: „ვიღაც რეინახი, მორჩილი ყმა და მოსამსახურე ყოველ გვარის მთავრობისა... სიტყვა არ გაუთავებინებიათ, ამტყდარა საშინელი ჟრიამული. რამდენსამე წუთს შემდეგ დერულედი თავმჯდომარის განკარგულებით გამოსულა გარედ და გამოსვლისას დაუძახნია: „ვაუმარჯოს ბულანჟესაო“! გათავებულა თუ არა კრება, რეინახს სეკუნდანტები გაუგზავნია დერულედისათვის.

— საბიუჯეტო კომისიამ წაშალა სამერმისო ბიუჯეტში რამდენიმე მუხლი შემოსავლისა. ამის გამო მთავრობას სახარჯოდ დააკლდებოდა 3 მილიონ ფრანკზე მეტი. პალატამ განიხილა ეს საქმე და შემოიღო ბაჟი საფარმაცევტო მასალებისათვის. შემოსავალი ამ წყაროდამ იქნება 12 მილიონი. ამ სახით 9 მილიონი და კიდევაც მეტი დარჩება სახელმწიფოს დაუხარჯველი. პალატამ გადასწყვიტა, ეს მეტი ფული ასე მოვიხმაროთ მერმისაო: 3 მილიონი ობლებსა და უპატრონოებს მოვახმაროთო, 1 მილიონით გავადიდოთ საპოლიტეხნიკო სკოლაო, ხოლო დანარჩენის ფულით შევამციროთ ის ბაჟი, რომელიც ადევს მავარს სასმელებსაო.

ინგლისი. 8 ოქტომბერს გლადსტონი ედინბურგს მისულა და იქ დიდის ამბით დახვედრიან. გზაზედაც, ლივერპულიდამ დაწყებული, სახელოვანის მოხუცისათვის მეფური პატივი უციათ. ბევრგან უთხოვნიათ კიდეც, პოლიტიკის ეხლანდელის ვითარების გვიბრძანე რამეო. მაგრამ გლასტონს აქა-იქ თუ უთქვამს ორიოდე სიტყვა: მინდა ჩემი ძალ ღონე ედინ-ბურგისათვის შევინახო და იქ წარმოვსთქვა ვრცელი სიტყვაო. ირლიანდიელის დეპუტატებისათვის ეს სიტყვები უთქვამს: მთავრობის საქციელი ირლიანდიის შესახებ უმაგალითო რამ არის თავის სასტიკობითაო. ჰომრული, ანუ ირლიანდიელთა დამოუკიდებლობა, ჩემის აზრით თავი საგანია დღეს ყველა სხვა საპოლიტიკო საგანთა შორისაო. ყველა სხვა საქმესა და საგანს მხოლოდ მეორე ხარისხის მნიშვნელობა თუ აქვსო.

— ლონდონში ვიღაც ბუსს, გენერალს ეგრედ-წოდებულისას „ქვეყნის დამხსნელის ლაშქრისას“ („Армія спасенія“) დაუბეჭდია წიგნი, და ვრცლად შეუმუშავებია ის საგანი, თუ რა გზით უნდა ვებრძოლოთ სიღარიბესა და გარყვნილობას დიდ ქალაქებისასაო. ავტორის აზრით, საჭიროა თავ-შესაფარნი დავმართოთ ქალაქ გარეშე ადგილას ამისთანა ღარიბებისა და გარყვნილებისათვის, იქ მივაჩვიოთ ხვნა-თესვას, მამულის მოვლასა და მერე იქიდამ დავასახლოთ ისეთს ახალშენებში, სადაც მამულის მოვლაა პირველი სახსარი ცხოვრებისა იქაურ მკვიდრთათვისაო.

## წვრილი ამბები

პარიჟის მეცნიერებათა აკადემიის უკანასკნელს სხდომაზე მ[illegible] [illegible]ჟარდენ-ბომეცმა წაიკითხა თავისი მოხსენება იმის შესახებ, რომ საფრანგეთში ხალხის შემცირების მიზეზი თამბაქოს წევაც არისო. 1878 წ. აკადემიამ ჯილდო დაუნიშნა იმათ, ვინც გამოიკვლევს, ჰნებს თუ არა თამბაქოს წევა ახალგაზდებსა და გავლენა აქვს თუ არა იმათს შვილიანობასა და უშვილობაზეო. ბევრმა წარუდგინა აკადემიას თავისი გამოკვლევა ამ საგნისა და ყველა იმას ამტკიცებდა, თამბაქოს წევა ხელს უშლის უმაწვილების ფიზიკურს აღზრდას, ამახინჯებს და მათი უშვილობაც ბევრჯელ თამბაქოს წევის ბრალიაო. მოხსენებაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ბევრმა უშვილომ თამბაქოს წევას თავი დაანება და შვილები მიეცაო. მკურნალმა ბრომარმა ორს მამალსა და 12 ქათამზე სცადა, თამბაქო როგორა ჰმოქმედებსო. ეს მამლები და ქათმები ორად გაჰყო და ცალკ-ცალკე ინახავდა. ერთგან, ყოველ დღე ცოტაოდენ თამბაქოს ახრჩოლებდა, ხოლო მეორეგან-კი არა. სადაც თამბაქოს ახრჩოლებდა, ქათმები იქ უფრო სუსტნი იყვნენ და ადრეც იხოცებოდნენ, ვიდრე სხვა ქათმები. ამ ნაირადვე სცადა კურდღლებზედაც და აღმოჩნდა, რომ კურდღლებსაცა სწყენს თამბაქო. დიუჟარდენ-ბომეცი ამტკიცებდა აკადემიას, რომ საჭიროა კანონი გამოიცეს და მცირე წლოვანებს თამბაქოს წევა აეკრძალოთო.

— თანამშრომელი გაზეთ „Manischeter Examiner“-ისა შემდეგს საყურადღებო თავის თვალით ნანახს ამბავს სწერს ამერიკელების ზნე-ჩვეულებისას. ერთმა ჩიკაგოელმა მილიონერმა წვეულება გამართა თურმე და ეს გაზეთის თანამშრომელიც მიიწვია თავის ცოლით. როცა გაზეთის თანამშრომელი თავის ცოლით შესულა მასპინძლის სახლში, დიასახლისი მიჰგებებია და მიუწვევია სასტუმრო ოთახში. იმ დროს იქვე შესულა ვიღაც სხვა ქალი, რომელსაც სამზარეულოს სუნი შემოჰყოლია. დიასახლისი წამომდგარა და სტუმრებისთვის უთქვამს, ნება მიბოძეთ—გაგაცნოთ ჩემი მზარეული ქალი მისტრის მიორფიო. მიორფიც მისულა და სტუმრებისთვის ხელი ჩამოურთმევია. ამას შემდეგ მზარეული ქალიც იქვე სავარძელზე ჩამომჯდარა და სტუმრებთან გაუბამს ლაპარაკი სხვა-და-სხვა საგანზე. ხალხი რომ დაშლილა, მასპინძელს თავისას ეტლით მოუნდომებია შინ გაგზავნა გაზეთის თანამშრომლისა და იმის ცოლისა. როცა ეტლში სხდებოდნენ თურმე, მასპინძელს უთქვამს სტუმრებისათვის, გთხოვთ, იცნობდეთ ჩემს მეეტლეს მისტერ სმიტსაო. სტუმრებს გაუცვნიათ და ისე ჩამსხდარან ეტლში. გზაზედაც მეეტლე სულ განუწყვეტლივ ებაასებოდა თურმე გაზეთის თანამშრომელსა და იმის ცოლს.

— ამას წინად ალაბამის შტატის ქალაქ ნიუბერნში „ქუჩის დუელი“ მოხდა ორს ახალგაზდას შორის. „ქუჩის დუელი“ იმასა ჰქვიან, რომ რაკი მოწინააღმდეგეები ერთმანერთს გამოიწვევენ, დუელი იქ მოხდება ხოლმე, სადაც პირველად შეხვდებიან ერთმანეთს, ქუჩა იქნება, მეიდანი, თუ სხვა რამ ადგილი. სროლითაც, ვინც დაასწრებს, ის ესვრის პირველად. ეს ახალგაზდები ქუჩაზე შეჰხვედრიან ერთმანეთსა და მაშინვე რევოლვერების სროლაც დაუწყიათ. ხალხს ხელი არ შეუშლია, მხოლოდ მოშორებია, რომ ტყვია ჩვენ არ მოგვხვდესო. პირველად ტიორპინს დაუსწრია, ოთხჯერ უსროლია და კიდეც ჩაუჩოქებია თავის მოწინააღმდეგე დიოსკონი. დაჭრილს დიოსკონს მაინც კიდევ მოუხერხებია ერთი სროლა და მოუკლავს ტიორპინი.

## დეპეშა

17 ოქტომბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მისწერა გუბერნატორებს, განკარგულება მოახდინეთ, რომ თქვენს უწყებაში მოსამსახურე პრაპორჩიკებს

---

ლი იყო! ოჰ, ეხლა-კი დიდი სიფრთხილე უნდოდა, იმის ბრჭყალებიდგან სიკვდილი გამოიჭყიტებოდა. სულ ცოტა რომ ესთქვათ, ათჯერ მაინც მოინდომა ვეფხვმა ზედ მივარდნა, მაგრამ ერალის თვალების ძალას ეპუებოდა და ვერ უმაგრდებოდა. ძნელად ასწერს ადამიანი ამ ბრძოლას! ყველანი ჰგრძნობდნენ, რომ ერალმა ოდნავაც არის თუ მოაშორა თვალი, მშვიდობით, მორჩენილი და გათავებული იქნება საქმე, აღარც ძვალი გადარჩება მთელი და აღარც რბილიო. გულ-ზვიადი ქალი ლოდებისა სწორედ მოჰხიბლა ამ უბრალო პარიჟელმა! ერალმა დაამარცხა საშინელი ნადირი... არა, ჯერ, სამწუხაროდ, არ დაუმარცხებია!.. ამ დროს მან შენიშნა თავისი საყვარელი ქალი, რომელიც აკანკალებულის ხელით აღელვებისაგან ფარდასა სრესდა, გაუღიმა და გაუფრთხილებლად თავი მოიბრუნა, იქნება უკეთ დავინახოო! იმავ წამს იაგო ერთიანად განთავისუფლდა ამ კაცის ძლიერ თვალებისაგან და...

ერალი დაღუპულია!

გაიელო თუ არა ხალხმა ეს სიტყვები ფიქრად, საზარელი ღრიალი გაისმა. საშინელი პირუტყვი უკანა ფეხებზედ აიმართა, დაიწყო ღრენა და თავისი სისხლით სავსე თვალები ზედ შეანათა მტერს. შიშისაგან ყველამ შეჰკივლა. თმა-გაწეწილი ანდრე გამოვარდა და ყაფაზას ეცა. „იაგო! იაგო!“ დაუძახა მან, მაგრამ იაგომ ამ თავისს მბრძანებელის ხმაზედ არც-კი მოიხედა, უფრო გაფოცდა, უფრო გაბრაზდა. ნადირმა კანკალი დაიწყო, ლაშებზედ ქაფი წამოუვიდა, უეცრად დაიღრიალა და ეძგერა თავის მოწინააღმდეგეს... ხალხმა თვალები დახუჭა, ველარავის გაებედნა ამ უბედურების ნახვა: ერალი იღუპებოდა! იმას ველარა დაიხსნიდა-რა!

გაისმა კვლავ საშინელი ღრიალი და ცირკმაც გრგვინვასავით უპუ გამოსცა. ერალი სულ ერთიან ქვეშ ჩაითრია და დაბუგნა მრისხანე ვეფხვმა, რომელსაც თვალები ნაკვერჩხლებსავით უნათებდა... უეცრად ყაფაზის ძირი სისხლმა შეჰღება...

— ვეფხვი მოჰკალით, მიეშველენითო! დაიძახა რამდენმამე ხმამ.

მაყურებელნი ფეხზედ წამოიშალნენ, გადაეიდნენ ასპარეზზედ და ყაფაზას შემოეხვივნენ... აღარც ერალი და აღარც იაგო აღარ იძროდნენ, ორივენი დედამიწაზედ გაშხლართულნი და ერთმანეთში გახლართულნი იწვნენ. ფერ-წასული და გადაფითრებული ანდრეა უნებურად მივიდა, აკანკალებულის ხელით შეეხო და ძლივს ამოსთქვა:

— დახოცილანო!

ყმაწვილი ქალი სცდებოდა: მხოლოდ ერთს იმის საყვარელთაგანს განეტევებინა სული. რამდენისამე წუთის განმაელობაში საზოგადოება ხმაამოუღებლივ დასჩერებოდა ამ სურათს.

იაგო თვალებ-მიბნედილი ეგდო და ტარამდე ჰქონდა გულში ჩარჭმული ერალის ბებუთი; იქვე უძრავად იწვა თავით ფეხამდე სისხლში ამოგანგლული ერალი. ხალხი უფრო და უფრო შემოეხვია და ზოგმა ფეხიც მოახვედრა. ფეხის უცაბედად დადგმაზედ ყმაწვილმა კაცმა ოდნავ ამოისუნთქა და წამწამები შეათამაშა.

— შეიძრა! ჰფეთქავს! ჰსუნთქავსო! დაიძახა ხალხმა.

რამდენიმე ექიმი წამოდგა წინ. უნდოდათ წამოეწიათ ერალი, მაგრამ ის უკვე ფეხზედ იდგა. ჯერ გონებაზედ კარგად არ იყო მოსული, მაგრამ ხელი მიისვ-მოისვა და ჩაილაპარაკა:

— დიდი არაფერი ზედენაა... გამივლისო.

სთქვა ესა და ფეხი წაჰკრა მკვდარს ვეფხვს. მაინც მეტად დასუსტებული იყო და რომ არ დაცემულიყო, ანდრეას გადაეყრდნო. მშვენიერმა ანდრეამ, რომელსაც თვალები სიხარულითა და სიყვარულით უბრწყინავდა, ნაზად გაიყვანა თავისი გმირი ყაფაზიდგან ასპარეზზედ, რომ ყველას ენახა, მართალია, დაიჩეჩქა, დაჰკრილიც არის, მაგრამ სასიკვდილო-კი არა დაშავებია-რაო. ღმერთო, რა მხურვალედ ულოცავდნენ! ისიც მადლობას უძღვნიდა საზოგადოებას და ალერსიანად უკრავდა თავს. ხალხმა-კი მაინც ვერ მოითმინა და ერთი კიდევ გადიხარხარა, როცა მან უწინდელებრ უზრუნველად თავის აბუძგულ ულვაშებს ქვეშ ჩაიღიღინა:

— მაინც-კი ლაზათიანად მივზილე; რაც დამაკლო, თავნითა და სარგებლით მივუთვალეო...

აქ ლამაზმა ხელმა პირი მოუკუმა და ყმაწვილს კაცს ბედნიერების შუქი დაადგა სახეზედ, თვალები გამოუნათდა და თავ-მომწონედ გაიღიმა. ან რატომ არ უნდა მოეწონებინა თავი! ვეფხვი მოკლას ადამიანმა, დაუმონავებელი მხეცთ-დამამშვიდებელი დაიმონოს, და თავის მოწონება არა ჰმართებს!.. ენებითა და სიყვარულის სახმილით აღგზნებულმა ანდრეამ ხალხს მოაშორა თავისი გმირი არშიყი და ალტაცებით შესძახა:

— ოჰ, ერალ, ვაჟკაცი ხარ, ლომი, და მიყვარხარ!.. მიყვარხარ!..

რ-ს-ნი

Доз. цен. Тифлисъ, 18-го Октября

ადგილი არ დაეკარგოთ, თუ ვინიცობაა ჯარში იქმნენ გაწვეულნი დროებით გასაწვრთნელადაო.

„Гражданинъ"-ი ამბობს, ძნელად დასაჯერებელია, ვითომ მთავრობა მართლა აპირებდეს სამეურნეო სამინისტროს დაარსებასა და გადაედოთ სახელმწიფო საბჭოში მეორე სესიისათვის საქალაქო დებულებაში ცვლილებათა შემოღების პროექტის განხილვა.

გამოცხადებულია კონკურსი პეტრე დიდის ძეგლის პროექტისა. ძეგლი უნდა დაიდგას მოგილიოვის გუბერნიის სოფ. ლესნოიში, სადაც 1708 წელს პეტრე დიდმა ლევენჰაუპტი დაამარცხა.

„Нов. Время" იუწყება, რომ გლეხთა დასაცველად სხვა-და-სხვა გაიძვერა შუამავალთაგან, პროექტია შედგენილი და უნდათ, დააარსონ ინსტიტუტი ვექილთა. ამ ვექილებმა უნდა დაიცვან გლეხთა საქმეები სათემო უფროსებისა, მომრიგებელ შუამავლებისა და მომრიგებელ-მოსამართლეების კრებებზედ. ეს ვექილები სახელმწიფო სამსახურში იქმნებიან, 500 მან. ღირებული საქმე მუქთად უნდა დაიცვან, ხოლო ამაზედ მეტად ღირებულის დასაცველად-კი დაწესებული პროცენტი უნდა მიიღონ. სხვა კერძო შუამავლათ-კი აკრძალული აქვთ მოღვაწეობა.

პარიჟი. გუშინ სამოქალაქო წესით ჯვარი დაიწერეს რუსეთის ელჩის ქალიშვილმა და ვიკონტ სესემა. როცა დეპუტატმა ფრებომ თაიგული მიართვა საპატარძლოს, სთქვა: ის გარემოება, რომ რუსეთის ელჩმა თავისი ქალიშვილი ფრანგ აფიცერს მისცა, დიდი დამამტკიცებელი ნიშანია ორისავე ერის მეგობრობისა და საფრანგეთის ჯარის პატივის-ცემისაო.

ჰაგა. გუშინ პირველი კრება იყო ორივე პალატისა. მინისტრმა მაკაიმ წარადგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ მეფე ავად არის და ექიმები ამბობენ—ქვეყნის მართვასა და გამგეობას ველარ შეიძლებსო. იუსტიციისა და კოლონიების მინისტრებიც, რომელთაც თავის თვალით უნახავთ მეფე, ამ აზრისანი არიან. მინისტრთა საბჭომ განუცხადა მთავარ-შტაბს, რომ კონსტიტუციის მიერ დასახელებულს დეკლარაციას კენჭი უყაროთო.

პარიჟი. ბარონესა მორენჰეიმის ჯვარის-წერას დაესწრნენ: ყველა ელჩი, ქ-ნი კარნო, რომელსაც თან ახლდა პოლკოვნიკი ლიხტენშტეინი, გენერალი ბრიუჟერი და მთელი სამხედრო ამალა რესპუბლიკის პრეზიდენტისა, და მრავალნი წარჩინებულნიო.

პეტერბურგი. დღეს ისაკის ტაძარში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი და ხაეკკლესიო პარადი იყო.

ოსმალეთსა და მსოფლიო პატრიარქს შორის ატეხილ უსიამოვნების გამო „Journal de St.-Pétersbourg"-ი ამბობს, რომ ოსმალეთი მართალი არ არის, თუ სცდილობს ქრისტიან ეკკლესიის საქმეში ოსმალეთის საზოგადო კოდექსი იხმაროს. რადგან კოდექსი შარიატზეა დაფუძნებული, მაშასადამე, იმისი თქმა არ შეიძლება, რომ ოსმალეთსაც შეუძლიან ისე მოექცეს ქრისტიან ეკკლესიას, როგორც ქრისტიანე სახელმწიფონი ექცევიანო. გაზეთი დასძენს შემდეგ, რომ იმედია თვით სულთანი მოუღებს ბოლოს ამ უსიამოვნებასა და პატრიარქიც, ამ იმედითვე, ეცდება კვლავ გაიღოს ეკკლესიების კარები, რომელნიც სულ არ უნდა დაეყენებინა, რაც უნდა კანონიერი ყოფილიყო იმისი სურვილიო.

დეპეშა მოვიდა კაპიტან გრომბჩევსკისაგან, რომელიც საგეოგრაფიო საზოგადოებამ 1889 წლის გაზაფხულს ჰინდუკუშში გაჰგზავნა, და იცნობება, რომ მოგზაური უკვე ოშშია. 700 ვერსის მანძილი გადაუვლიათ ქალალდზედ და ბევრი მასალა შეუკრებიათ. ექსპედიციის წევრნი ჯან-მრთელად არიან.

მართლ-მადიდებელ ეკკლესიების გასამართავად განზრახვა აქვთ 1891 წ. გადასდონ: დასავლეთ გუბერნიებისათვის 250,000 მან., ვისლის იქითა მხრისათვის—100,000 მან.

პოტსდამი. დღეს აქ მოვიდა ბელგიის მეფე. მეფეს რკინის გზის სადგურზედ მიეგებნენ: იმპერატორი, პრინცები, დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და კანაუტის ჰერცოგი. სადღესასწაულო სადილს დაესწრნენ დიდი მთავარი მეუღლითურთ და გრაფი შუვალოვი.

18 ოქტომბერი

პეტერბურგი. აკმოლინის გუბერნატორი ლივენცოვი, თხოვნისამებრ თვისისა, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და მიეცა გენერალ-ლეიტენანტობა.

განსაძლიერებლად ცხვრის-მოშენებისა სამხრეთ-აღმოსავლეთის გუბერნიებში არსდება მატყლის ბაზრობის კომიტეტები ხარკოვს, პოლტავას, ოდესაში და სხვაგან. ლაპარაკია აღძრული მასზედ, რომ აღკრძალულ იქმნას და აღარ გაეყიდოს გლეხკაცს ცხვარი დარჩენილ ვალში, „ნედოიმკაში".

ზანზიბარი. რადგან ვიტუს სულთანმა არ დაანება გერმანელ ახალმოშენეების მკვლელნი, ინგლისის ადმირალმა ფრიმენტალმა გადასწვა ქალაქი ვიტუ.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ოქტომ.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაყიდულნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 6 | 55 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 131¼ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | 1 | 12 | — | |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 231 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . | 213½ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . . | 211 | | — | „ | 214¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის" წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ **„ნობათი"-ს**

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», —სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ჟორდანიასი . | „ | 55 |

# კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373 წ.** პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—53)

კერძო ექიმი

# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად.

(10—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . . | 10 მ. — კ. | | 6 | თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Доз. цен. Тифлисъ, 18-го Октября 1890 г. Типо-Литографія Г. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე